სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნების

შუალედური ანგარიში
არჩევნების პირველი ტურის მდგომარეობით

06.11.2017

2017 წლის არჩევნებში დარეგისტრირდა 300-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, საიდანაც კანდიდატურების მოხსნის შემდგომ, არჩევნების დღისათვის, დარჩა 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი, ხოლო 201 საინიციატივო ჯგუფიდან - 11 მერობის და 190 - მაჟორიტარობის კანდიდატი. აღნიშნულ პირებს 22 აგვისტოდან წარმოეშვათ ვალდებულება: 3 კვირაში ერთხელ, წინასწარ გაწერილი გრაფიკით წარმოადგინონ 3 დეკლარაცია, ხოლო არჩევნების დანიშვნამდე პერიოდში - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, რადგან კანდიდატების დასახელება და პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის მოსამზადებელი ქმედებები დაიწყო ივნისიდან, პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილ იქნა ივნისის, ივლისისა და 1-21 აგვისტოს ანგარიშებიც.

არჩევნებისათვის მოსამზადებელ პერიოდში, ივნისი-აგვისტოს თვეებში ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოწვევით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც 15 წევრისა და 3 დამკვირვებელი ორგანიზაციის მონაწილეობით მიმდინარეობს ინფორმაციის მიწოდება და განხილვა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოქმედი რეგულაციებისა და ვადების შესახებ შემუშავებულ იქნა საინფორმაციო წერილები და განცხადებები საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხის შესახებ, რომელიც გაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საოლქო კომისიებში გავრცელების მიზნით. ასევე, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს განცხადების

შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენისთანავე, წერილობით ეგზავნებოდათ დეტალური ინფორმაცია მოქმედი რეგულაციებისა და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა ქმედების შესახებ.

ამასთანავე, მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ყოველდღიურად იმართებოდა ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები საარჩევნო სუბიექტებთან, სადაც განიხილებოდა ნებისმიერი ფინანსური თუ პროცედურული საკითხები. პოლიტიკური ფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით, სრული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა სამსახურის ცხელი ხაზი, რომელზეც შემოსულია 600-მდე შეკითხვა და ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავი პასუხი აქვს მიღებული.

მეორე ტური

21 ოქტომბრის არჩევნების წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, 5 პოლიტიკურ პარტიას, შესაბამისი ხმების მიღებიდან გამომდინარე, წარმოეშვა ვალდებულება - 18 დღის ვადაში წარმოადგინოს 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრამდე პერიოდის წინასწარი ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის წარმოდგენის ვადა იწურება 8 ნოემბერს.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, 12 ნოემბერს 6 ოლქში გაიმართება არჩევნების მეორე ტური, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 პოლიტიკური პარტია, 2 - საარჩევნო ბლოკი და 2 - დამოუკიდებელი კანდიდატი.

მეორე ტურისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განისაზღვრა ახალი გრაფიკი, რომელიც მეორე ტურში მონაწილე 6 სუბიექტს ავალდებულებს წარმოადგინოს 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიში, ხოლო არჩევნების შეჯამებიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ 22 აგვისტოდან პერიოდის სრული დეკლარაცია აუდიტორულ დასკვნასთან ერთად.

აღნიშნული ვადების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნა ყველა საარჩევნო სუბიექტთან.

ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი

მიღებული ანგარიშებისა და დეკლარაციების ანალიზის შედეგად, არჩევნების დანიშვნის დღიდან (22 აგვისტო) 21 ოქტომბრის ჩათვლით, 9 - კვირიან პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები გაანალიზებულ და შესწავლილ იქნა პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის მიერ, კერძოდ:

პოლიტიკური პარტიების მიერ 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ჯამურად განხორციელებულია **16,861,130.00** ლარის ხარჯი, კერძოდ:



პოლიტიკური პარტიების მიერ 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ჯამში მიღებულია **18,167,797.00** ლარის შემოსავალი, კერძოდ:



პოლიტიკური პარტიების მიერ 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული ხარჯები:

N	პარტიის დასახელება	ჯამური ხარჯი	რეკლამის ხარჯი	სატელევიზიო რაკლამის ხარჯი	სატელევიზიო რეკლამის ხარჯი	მივლინება ჯამი	შრომის ანაზღაურება
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	**11,651,146.00**	7,693,032.00	3,398,546.00	599,457.00	15,250.00	787,438.00
2	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	**929,584.00**	584,657.00	210,267.00	299,970.00	-	50,550.00
3	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	**797,022.00**	287,991.00	1,000.00	52,766.00	-	133,220.00
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	**735,090.00**	319,477.00	233,834.00	299,821.00	3,725.00	156,274.00
5	ახალი ქრისტიან - დემოკრატები	**397,327.00**	-	-	52,826.00	3,300.00	377,975.00
6	პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	**394,040.00**	-	-	52,730.00	6,040.00	386,086.00
7	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	**393,158.00**	-	-	52,826.00	16,200.00	375,350.00
8	მოძრაობა - სახელმწიფო ხალხისთვის	**336,893.00**	-	-	90,589.00	-	330,839.00
9	სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო	**282,779.00**	52,628.00	-	90,612.00	-	208,595.00
10	ეროვნული ფორუმი	**259,218.00**	16,373.00	-	-	10,280.00	190,395.00
11	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	**246,891.00**	-	-	93,244.00	1,136.00	174,125.00
12	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	**175,803.00**	23,020.00	-	93,244.00	2,740.00	91,875.00
13	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	**144,660.00**	6,771.00	-	165,599.00	35,030.00	79,737.00
14	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	**53,063.00**	63.00	-		-	12,750.00
15	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	**47,489.00**	4,832.00	1,250.00	-	335.00	19,125.00
16	თავისუფალი საქართველო	**10,722.00**	795.00	-	52,458.00	-	1,125.00
17	პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა	**4,160.00**	1,700.00	-		-	-
18	მემარცხენე ალიანსი	**874.00**	870.00	-		-	-
19	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	**811.00**	-	-		-	-
20	საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია	**227.00**	200.00	-		-	-
21	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	**173.00**	35.00	-		-	100.00
		16,861,130.00	8,992,444.00	3,844,897.00	1,996,142.00	94,036.00	3,375,559.00

პოლიტიკური პარტიების მიერ 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მიღებული შემოსავლები:

N	პარტიის დასახელება	სახელმწიფო დაფინანსება	შემოწირულება	საწევრო	არაფულადი	შემოწირულება - ჯამი	სხვა შემოსავალი	ჯამური შემოსავალი
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	925,465.00	8,887,279.00	40.00	40,213.00	8,927,532.00	2,340.00	**9,855,337.00**
2	ევროპული საქართველო	626,810.00	832,128.00	-	4,420.00	836,548.00	-	**1,463,358.00**
3	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1,025,056.00	88,256.00	-	21,350.00	109,606.00	149,092.00	**1,283,754.00**
4	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	675,055.00	500.00	-	-	500.00	-	**675,555.00**
5	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	623,892.00	36,364.00	-	-	36,364.00	-	**660,256.00**
6	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	576,131.00	65,792.00	-	750.00	66,542.00	-	**642,673.00**
7	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	508,481.00	23,193.00	-	-	23,193.00	-	**531,674.00**
8	სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო	431,693.00	59,600.00	-	-	59,600.00	-	**491,293.00**
9	ეროვნული ფორუმი	444,283.00	27,511.00	-	8,696.00	36,207.00	-	**480,490.00**
10	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	439,468.00	591.00	40.00	-	631.00	-	**440,099.00**
11	მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის	431,693.00	-	-	-	-	-	**431,693.00**
12	პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	402,002.00	-	-	-	-	-	**402,002.00**
13	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	402,002.00	-	-	-	-	-	**402,002.00**
14	ახალი ქრისტიან - დემოკრატები	399,594.00	-	-	-	-	-	**399,594.00**
15	პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა		5,370.00	-	-	5,370.00	-	**5,370.00**
16	მემარცხენე ალიანსი		880.00	-	-	880.00	-	**880.00**
17	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	-	812.00	-	-	812.00	-	**812.00**
18	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია		50.00	88.00	590.00	728.00	-	**728.00**
19	საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია		227.00	-	-	227.00	-	**227.00**
20	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	-	-	-	-	-	-	**-**
21	თავისუფალი საქართველო	-	-	-	-	-	-	**-**
		7,911,625.00	**10,028,553**	**168.00**	**76,019.00**	**10,104,740**	**151,432.00**	**18,167,797**

22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღებული შემოსავლები იდენტურია მიღებულ შემოწირულებებთან, ხოლო გაწეული ხარჯები, მცირედით ჩამორჩება, რადგან პერიოდის ბოლოს კანდიდატების ნაწილს ერიცხებოდა ნაშთი:

ხარჯი	შემოსავალი
223,001.00	254,253.00

შემოწირულებების შესწავლა

შემოწირულებების შესწავლის მიზნით, მნიშნელოვანია ინფორმაცია 1 ივლისიდან, როდესაც, ჩვენი აზრით, დაიწყო არჩევნებისთვის მზადება და შემოწირულებების განხორციელება, სადაც 1 ნოემბრამდე **4 - თვიან პერიოდში** ჯამში განხორციელებული **15,333,951.92** ლარის შემოწირულე-ბიდან 90% მიღებულია „ქართული ოცნების“ მიერ, კერძოდ:

N	შემოწირულების მიმღები	თანხა
1	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	13,814,532.60
2	ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	951,833.95
3	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	114,990.77
4	ალექსანდრე ელისაშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	89,554.00
5	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	66,392.00
6	სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო	59,600.00
7	დომენტი სიჭინავა - დამოუკიდებელი კანდიდატი	50,150.00
8	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	40,399.00
9	ეროვნული ფორუმი / შენების მოძრაობა	39,182.00
10	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	23,196.00
11	გულო ზუმბაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	25,400.00
12	ეროვნულ - დემოკრატიული პარტია	12,204.00
13	კონსტანტინე შარაშენიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	7,800.00
14	ახალი პოლიტიკური ცენტრი - „გირჩი“	7,550.00
15	მალხაზ უდესიანი - დამოუკიდებელი კანდიდატი	6,660.00
16	პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა	3,670.00
17	ჯოზეფ ალექსანდრ სმიტი - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,830.00
18	ზაურ ოსეფაიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,465.20
19	გიორგი ქაჯაია - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,280.00
20	ილია კაპანაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,150.00
21	გიორგი გოგლიჩიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,055.00
22	დავით ბასილაია - დამოუკიდებელი კანდიდატი	1,000.00
23	ასლან შაქარაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	930.00

24	დავით შუბითიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	920.00
25	ლევან მგელაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	920.00
26	ილია ნიკოლაიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	918.00
27	მოძრაობა -„ სახელმწიფო ხალხისთვის“	900.00
28	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	651.00
29	ვაჟა კიტია - დამოუკიდებელი კანდიდატი	587.00
30	საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია	572.00
31	თამაზ ტაკიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	530.00
32	დავით ჭუმბურიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	500.00
33	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	500.00
34	ჯუმბერ ბლაგიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	500.00
35	შოთა ართმელიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	777.40
36	ვეფხია ტიტვინიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	450.00
37	მერაბ მახარაშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	431.00
38	ვრეჯ საარიან - დამოუკიდებელი კანდიდატი	404.00
39	ვახტანგ ზენაიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	400.00
40	დავით ვანიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	360.00
41	გიორგი ჯანელიძე - დამოუკიდებელი კანდიატი	354.00
42	კახა ფირცხალავა - დამოუკიდებელი კანდიდატი	354.00
43	ვახტანგ კუპატაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	350.00
44	ჯაბა მიქაბერიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	350.00
45	არჩილ მდივნიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი	300.00
46	გიორგი კუკუტაშვილი - დამოუკიდებელი კანდიადტი	300.00
47	კონსტანტინე ღოღელიანი - დამოუკიდბელი კანდიდატი	300.00
48	ნუკრი გეგელია - დამოუკიდებელი კანდიდატი	300.00
49	ჩინგიზ კასუმოვი - დამოუკიდებელი კანდიდატი	250.00
50	ალექსანდრე ვარდოსანიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	225.00
51	ნანული ყურჩაბიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	200.00
52	დავით ჯაფარიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	195.00
53	მანუჩარ დავითაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	181.00
54	ლევან ჩინჩალაძე - დამოუკიდებელი კანიდატი	165.00
55	ვასილ ხაჩიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	150.00
56	ლევან ლობჯანიძე - დამოუკიდებელი კანდიდაი	150.00
57	მაია ზოიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	120.00
58	ბესიკ თაბუნიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	108.00
59	გიორგი ზღუდაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	100.00
60	გიორგი ციცვაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	100.00
61	თეიმურაზ კონცელიძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	100.00
62	თეიმურაზ რუხაძე - დამოუკიდებელი კანდიდატი	80.00
63	ინტიზარ მიქაილოვი- დამოუკიდებელი კანდიდატი	75.00
	ჯამი:	**15,333,951.92**

შემოწირულებების შესწავლის მიზნით, სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა მოთხოვნა 640 ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ, ხოლო იურიდიულ პირებთან მიმართებაში მიმდინარეობს შესწავლა მათი საბოლოო ბენეფიციარების, შესყიდვებში მონაწილეობისა და მიღებული შემოსავლების შესწავლის კუთხით. ფიზიკური პირების შემოწირულებების ანალიზის დროს დამატებითი კითხვების არსებობის გამო, გამოკითხვაზე დაბარებულია 31 პირი, საიდანაც, 13 არის „ევროპული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 18 - „ქართული ოცნების“. ამ ეტაპზე უკვე გამოკითხულია 17 შემომწირველი ფიზიკური პირი: „ევროპული საქართველოს“ - 11 და „ქართული ოცნების“ - 6.

სექტემბრის ბოლო პერიოდისა და ოქტომბრის დასაწყისის შემოწირულებებიდან ამ ეტაპზე დაბარებულია 5 სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის შემომწირველი 22 ფიზიკური პირი.

ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა 20 ოქტომბრიდან მიღებული შემოწირულებების შესწავლის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც გაგზავნილია მოთხოვნა სასამართლოსა და შემოსავლების სამსახურში.

საჩივრები და სამართალდარღვევის საქმეები

არჩევნების პერიოდში სამსახურმა 6 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ, ხოლო 117 ოქმი - დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებიც პერიოდულად იგზავნება თბილისის საქალაქო სასამართლოში. კერძოდ:

N	პირის დასახელება	შინაარსი	სანქცია (ლარი)
1	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ)	2000
2	პარტია „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ)	2000
3	61 დამოუკიდებელი კანდიდატი	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	შენიშვნა
4	56 დამოუკიდებელი კანდიდატი	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	მიმდინარე
5	პარტია „საქართველო“	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	მიმდინარე
6	მამულიშვილთა ორდერი - „სამშობლო“	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	მიმდინარე
7	მერაბ კოსტავას საზოგადოება	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	მიმდინარე
8	პარტია „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ)	მიმდინარე

აღნიშნულის გარდა, შემოსული საჩივრებისა და მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. კერძოდ:

N	განმცხადებელი	შეტყობინების შინაარსი	ქმედება	სტატუსი
1	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 900/01	ქართული ოცნების 2016 წლის რეკლამის განთავსება მიკროავტობუსებზე მთელი წელი	მივწერეთ „ოცნებას“, შპს - თბილისის მიკროავტობუსებს და სარეკლამო კომპანია „ელეფანთს“	გადაიგზავნა მერიაში
2	ალექსანდრე ელისაშვილი	ფეისბუქის გვერდების გამოყენება	მივმართეთ წერილით შსს-ს და ფეისბუქს სპეციალური ფორმის გამოყენებით და წერილით, მაგრამ უარი მივიღეთ	დასრულდა
3	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ევროპული საქართველო ნაციონალური მოძრაობა	საფეხბურთო მატჩში კალაძის მონაწილეობა	ფედერაციამ განაცხადა, რომ არანაირი სახის ხარჯი არ გაუწევიათ და მივმართეთ სპონსორებს ინფორმაციის წარმოდგენის თხოვნით	მიმდინარე
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 1291/01	თბილისის მერიის რეკლამა - „გაკეთდა თბილისისთვის“	გაიგზავნა წერილი მერიაში	მიმდინარე
5	მედიამონიტორინგი	ბეგლარ სიორიძის მიერ რესტორნის ფართის გამოყენება	წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება და დეკლარაცია	დასრულდა
6	ევროპული საქართველო	ველობილიკის გახსნაზე კალაძის მონაწილეობა	გაიგზავნა წერილი მერიაში	მიმდინარე
7	მედიამონიტორინგი	ალეკო ელისაშვილის შესახებ „თბილისის ჰამქარისა“ და „პარტიზანი მებაღეების“ მიერ გავრცელებული ვიდეოები	წარმოდგენილია ინფორმაცია მიღებული არაფულადი შემოწირულებების შესახებ	მიმდინარე
8	ადვოკატთა და იურისტთა საერთ. ობსერვატორია	გიორგი ვაშაძის წარმომადგენლების მიერ საჩუქრების დარიგებაზე	წარმოდგენილია ინფორმაცია სააგიტაციო მასალების კანონის დაცვით დარიგების შესახებ	დასრულდა
9	მედიამონიტორინგი	„ახალი ქ/დ-ისა“ და „ტრადიციონალისტების“ რეკლამა „პატრიოტების“ მხარდასაჭერად	გაიგზავნა წერილები პარტიებში	მიმდინარე
10	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 1502/01	ფართების დაკანონების დაპირება	არ ფიქსირდება დარღვევა	დასრულდა
11	ევროპული საქართველო	რუსთავის მერიის საინფორმაციო ბროშურების გავრცელება	წარმოდგენილია ინფორმაცია გასული წლების პრაქტიკისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ	დასრულდა
12	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 1508/01	2016 წლის საარჩევნო ბანერების არსებობა გაჩერებებზე	ადგილზე დათვალიერების შედეგად არ დადასტურდა	დასრულდა

13	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 1518/01	300 არაგველების სკვერში „კრწანისობა 2017-ის“ ორგანიზება	გაიგზავნა წერილი კრწანისის გამგეობაში	მიმდინარე
14	სამოქალაქო საზ. და დემოკრატიის განვითარების ცენტრი	ბურჯანაძის ფოთის მერობის კანდიდატის პლაკატების ხარჯი პირადი სახსრებით	წარმოდგენილია ინფორმაცია შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების შესახებ	მიმდინარე
15	ქართული ოცნება	„რუსთავი 2-ის“ ეთერში ნაციონალური მოძრაობის ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დეკლარირების შესახებ	მიღებულია ინფორმაცია პოლიტიკური პარტიიდან 6 ოქტომბერს გაფორმებული შესყიდვის შესახებ	მიმდინარე
16	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ბაღის პედაგოგების ტრანსპორტირების ხარჯი	მივმართეთ „ოცნებას“ ხარჯის გაშიფვრის თხოვნით	მიმდინარე
17	მრავალეროვანი საქართველო	დმანისის მუნიციპალიტეტის ბილბორდი	დაჯარიმდა ოლქის მიერ	მიმდინარე

მიღებული საჩვრებიდან (19) და მედიამონიტორინგის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციებიდან (4) მოკვლევა დაწყებულია 17 საქმეზე, ხოლო 4 საჩივარი შეეხებოდა მხოლოდ სავარაუდო ხელის შეშლის შემთხვევებს, რომელთა შესწავლა არ შედის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციაში.

დაწყებული 17 შესწავლიდან დასრულებულია 7 საქმე, დარღვევის არ დადასტურების გადაწყვეტილებით, ხოლო 10 საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით.

მონიტორინგის სამსახური კვლავ აგრძელებს მიმდინარე პროცესების მონიტორინგს და ყველა საკითხზე მოახდენს შესაბამის რეაგირებას, რათა უზრუნველყოს პოლიტიკური ფინანსების სრული გამჭვირვალობა და ხელი შეუშალოს პოლიტიკურ პროცესებში უკანონო თანხების გამოყენებას როგორც საარჩევნოდ, ისე არასაარჩევნო პერიოდში.